საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

# სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №1.16.01.2024წ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი: / შალვა ჭკადუა /

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № 1 18.01.2024წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე / მანანა ღარიბაშვილი /

თელავი 2024

# სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესის შესახებ

## მუხლი 1.
## ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შიდაშეფასების წესს, შეფასების მექანიზმებსა და შემდგომი რეაგირების პროცედურებს;
2. წესი წარმოადგენს უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის მონიტორინგის, შეფასებისა და კვლევითი შედეგების/პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად შემუშავებულ შეფასების შიდა მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესებას, მაღალი/საერთაშორისო კვლევითი სტანდარტებისა და პასუხისმგებლობის დამკვიდრებას, რაც უზრუნველყოფს ამა თუ იმ ფაკულტეტის და, ზოგადად, უნივერსიტეტის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას, პოპულარიზაციას და კონკურენტუნარიანობას;
3. შეფასების სისტემის მთავარი არსია, პროფესორის/აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა იყოს მრავალმხრივი (პროფესორი წარმოჩინდეს მრავალმხრივი შესაძლებლობებით), ჰქონდეს სტიმული და სურვილი, მისი სამეცნიერო პროდუქცია იყოს რეიტინგული/ციტირებადი და გაეზარდოს ცნობადობა საერთაშორისო დონეზე;
4. წესი უზრუნველყოფს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შიდა შეფასებას ერთი სრული კალენდარული წლის განმავლობაში შეფასების წესის დანართში წარმოდგენილი კატეგორიების მიხედვით;
5. შეფასების სისტემა ეხმარება პერსონალს სწორად დაგეგმოს და დროის თვალსაზრისით, სამუშაო საათების გათვალისწინებით, პრიორიტეტულად, რელევანტურად და გონივრულად გადაანაწილოს სამეცნიერო აქტივობები წლის განმავლობაში;
6. შეფასების წესით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობით დაკავებულ

აფილირებულ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) აკადემიურ პერსონალზე (შემდგომში - „პერსონალი“).

6.1. არააფილირებულ და ხელშეკრულებით მოწვეულ პერსონალზე აღნიშნული წესი გავრცელდება ხელშეკრულების გაფორმებისას მათი თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 2.

შეფასების სისტემა

1. შეფასების წესი მოიცავს შეფასების სისტემას (დანართი1.), რომელიც ექვემდებარება კატეგორიებად დაყოფას;

2. თითოეული კატეგორია აერთიანებს აქტივობებს, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობას;

3. პროდუქტიულობის დასადასტურებლად და აკადემიური პერსონალის ერთი სრული კალენდარული წლის განმავლობაში გაწეული სამეცნიერო საქმიანობის დადებითად შეფასებისათვის, სავალდებულო მოთხოვნაა მაქსიმუმ ხუთი კატეგორიიდან მინიმუმ სამ სხვადასხვა კატეგორიაში სამეცნიერო აქტივობ(ებ)ის განხორციელება;

4. აკადემიური პერსონალისათვის წინამდებარე წესის გაცნობა ევალება რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას.

მუხლი 3.

**პროდუქტიულობის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები:**

1. სამეცნიერო პროდუქტიულობის ვერ დადასტურების შემთხვევაში, პერსონალს დაეკისრება შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობა:

ა/. I-III წელი:

- ზეპირი გაფრთხილება (დეპარტამენტის ხელმძღვანელი)
- საოქმო გადაწყვეტილებით გაფრთხილება (დეპარტამენტის სხდომა)
- ბრძანებით საყვედური (ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით რექტორის ბრძანება)

ბ/. IV - VI წელი

- აფილირების შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა
- ხელშეკრულების გადახედვა და დაკავებული აკადემიური თანამდებობის შემდგომი უფლებამოსილების გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა

1.1. ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და აფილირების შეწყვეტის შესახებ საკითხი განიხილება გარემოებების შესწავლის საფუძველზე და მიიღება დასაბუთებული გადაწყვეტილება;

2. აკადემიური საბჭო, სამეცნიერო პროდუქტიულობის შედეგების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას პერსონალის წახალისების მექანიზმის შესახებ (მადლობა, ფულადი ჯილდო და სხვა);

2.1. პერსონალის ფინანსური წახალისების შესახებ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 4.
გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, მიმართოს შესაბამისი განცხადებით აკადემიურ საბჭოს / უნივერსიტეტის რექტორს განცხადებით საკითხის შესასწავლად. რექტორი იწვევს დამოუკიდებელ კომისიას დარგის სპეციალისტ(ებ)ის ჩართულობით.

მუხლი 5.
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. წინამდებარე წესი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო;
3. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესს, რომელიც ატვირთული იქნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
4. წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახალი რეგულაციების დამტკიცების შემთხვევაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი /მ. ღარიბაშვილი/

სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

❖ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა

( ..... წელი)

სახელი, გვარი -

აკადემიური თანამდებობა -

დეპარტამენტი -

| # | კატეგორიის დასახელება | ქულა |
|---|---|---|
| 1. | **პუბლიკაციები** | |
| 1.1. | გამოქვეყნებული სტატი(ები)ა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში<br>(მაგ.: SCOPUS, Elsevier, *Thomson Reuters / CLARIVATE ANALYTICS*; ERIH+, EBSCO, Crossref, Ulrich და სხვა)<br><br>**სტატიის სათაური:**<br>✓ ქართულად: ----------<br>✓ გამოქვეყნებულ ენაზე: ----------<br>▪ **ჟურნალის დასახელება** - ----------<br>✓ ქვეყანა, გამომცემლობა, წელი, გვერდი:<br>▪ **სამეცნიერო ბაზა** - ----------<br>▪ **ინდექს(ებ)ი** ----------<br>▪ **იმპაქტ ფაქტორი (Impact Factor)** (არსებობის შემთხვევაში) ----------<br>▪ **თანაავტორ(ებ)ი** (არსებობის შემთხვევაში) ----------<br>▪ **ელ საიტი:** ---------- | 10 |
| 1.2. | გამოქვეყნებული სტატი(ები)ა საერთშორისო ინდექსირებულ (ISSN/ISBN/DOI) რეფერირებად/რეცენზირებად (Peer Reviewed) სამეცნიერო ჟურნალებში<br><br>▪ **სტატიის სათაური:**<br>✓ ქართულად ----------<br>✓ გამოქვეყნებულ ენაზე ----------<br>▪ **ჟურნალის დასახელება** ----------<br>✓ ქვეყანა, გამომცემლობა, წელი, გვერდი ---------- | 8 |

| | | |
|---|---|---|
| | ▪ ინდექს(ებ)ი ----------<br>▪ რეფერირებადი (Peer Reviewed) ----------<br>▪ იმპაქტ ფაქტორი (Impact Factor) (არსებობის შემთხვევაში) ----------<br>▪ თანაავტორ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში) ----------<br>▪ ელ საიტი (არსებობის შემთხვევაში) ---------- | |
| 1.3. | გამოქვეყნებული სამეცნიერო მონოგრაფია<br><br>▪ *სათაური:* ----------<br>▪ *გამოცემის ადგილი:* ----------<br>▪ *გამომცემლობა:* ----------<br>▪ *წელი:* ----------<br>▪ *გვერდთა რაოდენობა:* ----------<br>▪ *ინდექსი:* ----------<br>▪ *ელ საიტი (არსებობის შემთხვევაში):* ----------<br>▪ *თანაავტორ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):* ---------- | 15 |
| 1.4. | გამოქვეყნებული სახელმძღვანელო<br><br>▪ *სახელწოდება:* ----------<br>▪ *გამოცემის ადგილი:* ----------<br>▪ *გამომცემლობა:* ----------<br>▪ *წელი:* ----------<br>▪ *გვერდთა რაოდენობა:* ----------<br>▪ *ინდექსი:* ----------<br>▪ *ელ საიტი (არსებობის შემთხვევაში):* ----------<br>▪ *თანაავტორ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში)* ---------- | 12 |
| 2. | **სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა** | |
| 2.1. | მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში<br><br>მოხსენების სათაური ----------<br>კონფერენციის დასახელება ----------<br>ჩატარების ადგილი და დრო: ----------<br>მიუთითეთ რა არის დაბეჭდილი (პროგრამა, მასალები, თეზისები, ნაშრომი) ---- | 8 |
| 2.2. | მონაწილეობა რეგიონალურ და საუნივერსიტეტო სამეცნიერო ფორუმებში<br><br>▪ მოხსენების სათაური: ----------<br>▪ კონფერენციის დასახელება: ----------<br>▪ ჩატარების ადგილი და დრო ----------<br>▪ მიუთითეთ რა არის დაბეჭდილი *(პროგრამა,* მასალები, თეზისები, ნაშრომი) --- | 6 |

| | | |
|---|---|---|
| 3. | **სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა**<br>**<u>თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით</u>** | |
| 3.1. | საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტ(ებ)ში მონაწილეობა<br><br>▪ პროექტის დასახელება: ----------<br>▪ დამფინანსებელი: ----------<br>▪ განხორციელების წლები ----------<br>▪ როლი პროექტში: ----------<br>▪ ---- წელს შესრულებული სამეცნიერო აქტივობა/შედეგი (აღწერეთ სრულყოფილად) ---------- | 15 |
| 3.2. | ადგილობრივ / ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით პროექტ(ებ)ში მონაწილეობა<br><br>▪ პროექტის დასახელება: - ----------<br>▪ დამფინანსებელი: - ----------<br>▪ განხორციელების წლები: - ----------<br>▪ როლი პროექტში: ----------<br>▪ ----- წელს შესრულებული სამეცნიერო აქტივობა/შედეგი (აღწერეთ სრულყოფილად): ---------- | 12 |
| 4. | **სტუდენტებთან განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები (დასრულებული)** | |
| 4.1. | დოქტორანტების ხელმძღვანელობა, რომლებმაც დაიცვეს სამეცნიერო ნაშრომი<br><br>▪ თემის დასახელება ----------<br>▪ დოქტორანტის სახელი, გვარი ---------- | 5 |
| 4.2. | მაგისტრანტების ხელმძღვანელობა, რომლებმაც დაიცვეს სამეცნიერო ნაშრომი<br><br>▪ თემის დასახელება ----------<br>▪ მაგისტრანტის სახელი, გვარი ---------- | 4 |
| 4.3. | სტუდენტ(ებ)ის მომზადება და წარდგენა სამეცნიერო კონფერენციებზე<br><br>▪ სათაური ----------<br>▪ სტუდენტის სახელი, გვარი ----------<br>▪ სწავლების საფეხური ----------<br>▪ კონფერენციის დასახელება, სტატუსი ----------<br>▪ ჩატარების ადგილი, დრო: ---------- | 2 |

| 5. | სხვა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები | |
|---|---|---|
| 5.1. | სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ის (დისერტაცია, მონოგრაფია, კრებული) **რეცენზირება**<br><br>▪ **დასახელება** ----------<br>▪ **გამოცემა** ----------<br>▪ **წელი** ----------<br>▪ **ინდექსი** ---------- | 2 |
| 5.2. | სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ის (სამაგისტრო ნაშრომი, სტატია) **რეცენზირება**<br><br>▪ **სამაგისტრო ნაშრომის სათაური** ----------<br>✓ სტუდენტის სახელი, გვარი ----------<br>▪ **სტატიის სათაური** ----------<br>✓ გამოცემა ----------<br>✓ წელი ----------<br>✓ ინდექსი ---------- | 1 |
| 5.3. | სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ის (მონოგრაფია, კრებული) **რედაქტორობა**<br><br>▪ **დასახელება:** ----------<br>▪ **გამოცემა:** ----------<br>▪ **წელი :** ----------<br>▪ **ინდექსი :** ---------- | 2 |
| 5.4. | სამეცნიერო შრომების კრებულ(ებ)ის საორგანიზაციო / სარედაქციო / საგამომცემლო კომიტეტის /კოლეგიის / საბჭოს წევრობა<br><br>▪ **დასახელება** ----------<br>▪ **გამოცემა, ქვეყანა** ----------<br>▪ **წელი** ----------<br>▪ **ინდექსი** ----------<br>▪ **როლი** ---------- | 1 |
| 5.5 | სამეცნიერო ფორუმ(ებ)ის საორგანიზაციო კომიტეტის/კოლეგიის/საბჭოს წევრობა<br><br>▪ **დასახელება** ----------<br>▪ **ჩატარების თარიღი, ადგილი, ქვეყანა** ----------<br>▪ **როლი** ---------- | 2 |
| 5.6. | ექსპერტობა სამეცნიერო აქტივობაში<br><br>▪ **სრული დასახელება** ----------<br>▪ **თარიღი** ---------- | 2 |

| | | |
|---|---|---|
| 5.7. | სამეცნიერო დარგობრივი საბჭო(ებ)ის / კოლეგი(ებ)ის /კომიტეტ(ებ)ის წევრობა<br>▪ **სრული დასახელება** ---------- | 1 |
| 5.8. | მიღებული პატენტები / გამოგონება<br>▪ **დასახელება** ----------<br>▪ **თარიღი** ---------- | 15 |
| | | |
| | მიუთითეთ ციტირების ინდექსი - --- წლის მონაცემი (არსებობის შემთხვევაში)<br>**დასახელება** ---------- | |

*განმარტება:*

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ჩაითვლება პროდუქტიულად, თუ მოცემული ხუთი კატეგორიიდან **არანაკლებ სამ სხვადასხვა კატეგორიაში** არის განხორციელებული აქტივობები;

- განხორციელებული რომელიმე აქტივობის შედეგის მითითება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, ერთ კატეგორიაში (დაუშვებელია ერთი და იმავე სამეცნიერო შედეგის მითითება სხვადასხვა კატეგორიაში).